არს ქალაქი წილკანი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი ხიზნი 700 კომლი.

არს ქალაქი სურამი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი 200 კომლი.

კახეთს არს ქალაქი თელავი და მასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი ხიზნი და თელავის ბოლოს სოფლით 740 კომლი.

ქიზიყს არს ქალაქი სიღნაღი და მასა შინა მკვიდრობენ სომეხნი 100 კომლი.

არავჯზე არს მცირე ქალაქი ანანური და მასა შინა მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი 100 კომლი.

ქსანზე მცირე ქალაქ ახალგორი და მასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი 140 კომლი.

არავგის ოსი ზახას, თრუსოს, ჭვრიეს, ხადას და ლუდეს 1200 კომლი.

არავგის ქრისტიანენი მართლმადიდებელნი მთას და ბარს კომლი 2000.

ქსნის ოსი კომლი 2000; ქსნის საერისთავოს ქრისტ. მართლმადიდებელნი კომლი 1600. მაჩაბლის ოსი 860, ურია არის 40 კომლი.

არს ქართოს მართლმადიდებელნი ქრისტიანენი ქართელი, ხიზანს ვარდა, სახასო, გელსიების ყმა, თავადების ყმა და აზნაურ შეილებისა 4000 (კომლი?) ქართლში სომეხი არს კომლი 500. არს თათარი დემურჩი არანლო ერთი რასულთა და ამისი ომიანობი კომლი 1000. ამისი მრავალი დაფანტულა სხვა ქვეყანაში მისულან და ხიზნათ დვანან. არს მედიანობი ერთი რასულთან მრავალი დაფანტული სხვის ქვეყნებში და ახლა რომ არის კომლი ორასი.

არს ბოჩალო და ფამბაკს ხეობა ერთი მთელი სახანო. ამისი კაცი მრავალი დაფანტულა სხვის თემში და ახლა არის 2560 სომხით.

არს ყაზახი ერთი მთელი სახანო და მრავალი ამისი კაცი სხვის ქვეყნებში არის დაფანტული და დღეს არის თათარი 3000 და სომეხიც არის ყაზახის 1200.

არის შამშადილო ერთი მთელი სახანო; ამაში მკვიდრობს თათარი 2200. სომეხიც არის 1200. ესენი ზოგჯერ განჯისთვისაც დავეინებებია, რადგანაც იმაზე ახლოს არის, მაგრამ ამის ყმა არ ყოფილა.

არს ხეგსურეთი ცერძო ქრისტიანენი ჩვენის მოუტყველობით და გამო ვითარებით სჯულსჯელ წამხდარი კომლი 1200.

არს ფშავი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი კომლი 1000.

არს თუშეთი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი კომლი 1400.

არს დიდოეთი ლეკისაგან წარამეული ამ ასს წელიწადში 4000.

კახეთი ქრისტ. მართლმადიდებელნი ხიზნით 7000 კომლი.

კახეთის სომეხი 450 კომლი.

კახეთის თათარი კომლი 1000.

არს კახეთის მამული ხარაზუბის გარდა, რომელიც ჩვენს ქაში კიდევ ხარჯს გვაძლევდენ და ამ მცირეს ქაში ევლარ დაგანებეთ.

ენისელი ფადარს და სხვანი, რომელნიც ესენი ერთი საპროვინციო იქნება ქრისტეს მართლმადიდებელნი, სომეხნი და თათარი კომლი 10,000.

არს აოხრებული და უმკვარაო ქმნილი თრავსო, ადგილი გრცელი და ფრიალ კეთილი და დიდი და სოფელ მრავალი. არს აოხრებული ყაიყულო უმკვარაო ქვეყანა ფრიალ კეთილი და მრავალ სოფელი არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი, ქვეყანა დიდი და მრავალი და ამისი აყრილი კაცი ოანოტისაგან ერთი დარწმუნდა. ერთმანეთში არიან ხიზნათ.

არს საპარათოსშიელი აოხრებული ქვეყანა და

*) Архивъ Министерства Иностр. дѣлъ въ Москвѣ. Грузинскія дѣла.

და ასისგან ერთი დარჩენილა. ხიზნათ არიან, ეს სო-
მხითი და საბარათიანო არის ქვემო ქართლი.


აზხრებულნი ქვეყანა იფასიანო, ადგილი დიდი,
თათარი ელნი 12000. აზრეშუმისი, ბანისი და ბრი-
ნჯისა მუშაქანი მზავლისა.

დღეს შემოსავალი მეფე ერეკლესი წელიწადში
10,000 თუმანი, თუ ჭამი კითლი იქნება 12,000
შესრულდება. შემოსავლის მკვიდრობა არა აქვს,
თათრის გამოყენაა შეიძლება წაწმი ე ათასი
(5000), ქართველი და სომეხი 6^ა ათასი (18,000),
ერთათ გგ ათასი (ესე იგი 23,000).

ამით თავდება ეს საინტერესო ლაკუმენტი. მკი-
თხელი ხედვის, რომ იგი შეიცავს მცხოვრებთა
ჩაოდნობას, მეფის შემოსავალს და ჯარის კაცის
რიცხვს საქართველოში. ვინც მოინდომებს აქ მოყ-
ვანილი მცხოვრებთა რიცხვის შედარებას ჩვენი დრო-
ის ჩაოდნობასთან, მან კომლი უნდა ხუთჯერ გაა-
მრავლოს, როგორც მიღებულია სტატისტიკაში. მა-
გალ. თფილისში 1770 წ. ყოვილა 4000 მცხოვრე-
ბი კომლი, ესე იგი 20,000 სული (400. 5—20,000);
ამ ჭამად თფილისში ირიცხება 160,000 მცხოვრები.

ხევისურეთში ირიცხებოდა 1200 კომლი ანუ
6000 სული. ამ ორი წლის წინეთ კავკასიის გეოგ-
რაფიული საზოგადოების მიერ გამოცემული ცნობით
ხევისურთა რიცხვი არ აღემატება 6560 სულს, ესე
იგი ასი წლის განმავლობაში უმატნია 650 სული.
ეს მეტათ მცირე და დამაუკრებელი გამრავლება.
ფშაფეთში ერეკლეს დროს ირიცხებოდა 1000 კომ-
ლი ანუ 5000 სული და ახლა იმავე კავკასიური გე-
ოგრაფიული საზოგადოების ცნობით ირიცხება 915^ა
სული. ვისაც მსურს დაახლოებთ შედარება აქ მოყ-
ვანილი ცნობების აწმყო დროებასთან, მას შეუძლია
მიმართოს къ Этнографической картѣ губерній и об-
ластей Закавказскаго края, извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ
1886 г. ამ ცნობებით უნდა დამკუყოფილდეთ, იო-
დრე არ გამოიკვმა შარზან მომხლარი აღწერის სია.

ა. სასანაშვილი.



დებათა კითხვა.

(ბ. ე. გაშაქისის წერილის გამო)
(შეშეგა) *

2. დებათა კითხვა და ისტორიული მსვლელობა.

ღრო ვავიდა, საქიროებამ იმატა; ტყეში ტანტა-
ლოთ კაცმა ველარ დაკმაყოფილა თვისი მოთ-

ხოვნილებანი; გაქირებების გამო იგი იძულებული
შეიქნა შრომის იარაღი გაეუმჯობესებია, საიწმელო
და ნაყოფიერი შრომისათვის მოეკიდა ხელი. ნელ-
ნელა მამა-კაცი ოჯახს მიეკვდლა და გვერდს ამოუ-
დგა დედა-კაცს. დედა-კაცის ტერითი, უმიხითაც
მძიმე, ახლა უფრო დამძიმდა. ამი შეიღებნა აღზარ-
და, თან ისე შრომამ იმდენათ ვართულა მისი შრო-
მა, რომ იგი ევლარ გაჰყვა მამა-კაცს შრომაში, მამა-
კაცის შრომა უფრო ნაყოფიერი შეიქნა; ცხოვრების
სასწარმა ნელ-ნელა მამა-კაცისავე გაღიზარა. საზო-
გადლება კიდევ წინ წავიდა; შრომის განაწილებამ
კიდევ წადგა ნაბიჯი, საწარმოვო ძალა გაუმჯობესე-
ბული იარაღის წყალობით იმდენათ განვიარდა,
რომ ერთის შრომის ნაყოფით შესაძლოა შეიქნა
ორის და მეტის რჩენა; კერძო საკუთრებამ თავი
იჩინა; ამას მოჰყვა მონაც და მონასთან ერთათ დე-
და-კაცს თავი მონობის უღელში გაყოფიეს. ამ გვა-
რათ ერთ დროს პატრელებული, ცხოვრების მეთაუ-
რი, ქალი ჩამოქვეითდა; მისი ზედ-იბალი მონის
ზედ იბაბლს გადაესვენა; ამიერიდან მათი საზოგადო-
ებრივი მდგომარეობა აღარაფრით არ ვაიჩნევა
ერთი მეორისაგან. თუ რამ განსხვავება ქალსა და
მონას შორის, ეს განსხვავება ინდივიდუალური ხა-
სითისა და არა საზოგადოებრივი. სქესებრივი და-
ნიშნულება ქალისა ისე არ შენებდა მის საზოგადო-
ებრივ მდგომარეობას, როგორც რომელიმე საქან-
ლის ფიზიკური თვისება მის ღირებულებას. ამ და-
ნიშნულებას იგი ასრულებს როგორც სხვა ყველა
ცხოველი სრულიად დამოუკიდებლათ თვისი საზო-
გადოებრივი მდგომარეობისა, ეს ორი მხარე მი-
სი ცხოვრებისა სრულიად არ საზღვრავს ერთი
მეორეს. რამდენათაც ქალი დარჩენილა საზოგადო-
ებრივ ცხოვლეთ, ესე იგი რამდენათაც ბი არი წე-
ერი საზოგადოებისა, მისი მდგომარეობა სავსებით
განსაზღვრულია მით, რომ ის მონაა, არსება ეკო-
ნომიურ და პოლიტიკურ უფლებას მოკლებული!

უღიდესი ნაწილი ძველი ისტორიისა არის ის-
ტორია მონობისა; მონობა არის საუფქველი ძველი
კულტურისა, ჩონჩხი, რომელზედაც აგებულია ძვე-
ლი საზოგადოების ორგანიზმი. იბადებია, იზრდებ-
იან და ჰქრებაან სახელმწიფოებთ; ასირეთი, ბაბი-
ლონია, ქალდეა, სპარსეთი, ეგვიპტე; თითოეული ამ
სახელმწიფოთაგანი მონის შრომით იზრდება, ძლი-
ერდება, ქმნის თავისებურ კულტურას; ბოლოს მო-
ნობა სპობს თითოეულ მათგანს. ამ ხანის განმავლო-
ბაში მონა მონათ რჩება, ვინცდა თვისი მძიმე უფელს,
დაჯერებული, რომ მისი ერთათ ერთი ხვედრი ეს
მძიმე უფელია. რა მდგომარეობაშია ამ დროს ქა-
ლი? ისეთსავე, როგორშიაც მონა, ისიც ცოცხალ

*) ის. კავკაზა“ № 7.

ნიეთს წარმოადგენს, როგორც მონა; ისიც შეადგენს ნაწილს სხვა და სხვა გვარი ქონებისას, რომელსაც უფალი განაგებს სურვილისაშებრ. როგორც მონას რწმას, რომ მისი ხედვები მორჩილება და მოთმინება ავრთვეთ ქალს, რომ მისი დანიშნულება ქმრის სურვილების დაქმნაა. აზრის დიდი სახელმწიფოების შემდეგ საისტორიო ასპარეზზე გამოდიან ბერძნები, ბრწყინვალე და გააუფალი კულტურა ამ ხალხის საზრდობს ისეე მონობის ნაყოფით და ბოლოს ძლიერდება რომი. ერთ დროს პაუპინტიუსი თემი შემდეგ ხდება მპრობელი მთელი ცნობილი საცობრობისა. აქ მონობა უკიდურესობამდე მიდის. მთელი იმ დროინდელი სიმდიდრე გადადის უმცირესობის ხელში; დანარჩენი უდიდესი ნაწილი მოკლებულია თითქმის ყოველ გვარ ნიეთიერ საშუალებას; ერთი მხრით უსაზღვრო, შეუკავებელი გაწვრთვა, მეორე მხრით შიმშილი; ეკონომიური წინააღმდეგობა ძველი დროსა ვითარდება. და სრულდება საესკებით. ერთმანეთს უახლოვდება და ეცნობა სხვა და სხვა კუთხის ხალხები. მონებს ერთი ავგილიდან მეორეში ერეკებან ცხერის ფარასავეთ. მონა ხედავს, რომ მისებრი დანაგრული სხვაგანაც ყოფილა. დიდი ხნიდან მის გულში ჩამარბული უკმაყოფილება თანდათან იღვიძებს, ეს უკმაყოფილება მოქმედებს ისე, როგორც დედა-მამის გულში მოქცეული ძალი: ხან აქ შეარყვებს ცხოვრების ნიადაგს, ხან იქ; საზოგადოება იარ განსაზღვრულ, ერთი მეორის წინააღმდეგ ბანაკით იყოფა. ძველი ცხოვრება უკანასკნელ ძალას იკრებს და ეშხადება ბოლოსაც არის განსნას უმთავრესი ისტორიული ნასკვი ეკონომიური და მასზე აგებული იდეოლოგიური წინააღმდეგობის, დაბოლოვის ბრძოლა უფალთა და მონათა შორის. ამ დროს სადღაც მოშორებით, მივარდნილ კუთხიდან ისმის ლთაური ხმა: შეიყვარნეთ მოყვასი, ვითარცა თავი თქვენი; აღარ არს აღარც ისრაელი, აღარც საბარგილი, აღარც ელნი; მოვედით ჩემდა ყოველნი მამარლინი.....

უპირველესათ ყოვლისა მონის გულს ეფინება ეს სიტყვები; სასოებით მოკული და იმედით გატაცებული მონა მთელი თავის არსებით ეგებება ახალ მცენებას და თავდავიწყებით ეძლევა ამ მცენების გავრცელებას. რას შერება ამ დროს ქალი? იგი გვერდს ამოდგამია მისებრი ტვირთ მიმისქ-მონას, საოცარი თავებწირობებით ჰქვენს ახალ სწავლას საცობრობას, დღეს ყველასთვის ექვს გარეული, რომ ქალმა პირველი ავდილი დაიჭირა ამ უდიდეს საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომლითაც ვითავდა ძველი და დაიწყო ახალი ისტორია, რამდენათაც ამ მოძ-

რაობამ გააუმჯობესა მონის მდგომარეობა, ეფინება მან აღამალდა დეაკაცო. ჩვენი მოძღვრები ბ. პლეხი და ე. ვ. შუკიქი რომ იმ დროს ყოფილიყვენ, ქალებს ოჯახის ქურს არ მოაშორებდენ! თუმცა ეს მადლით მოსილნი მოძღვრები ნიადაგ ჩავენიჩინებენ: აი ძველი ქალები, ქალობა იმათ ჰქონდათ, ისინი არიან ღირსნი მიზამქისა; თუმცა თითოეული ამ მოძღვართავენი დღეს თუე მომწონებთ გვაიმეორებენ ათასჯერ:

„აქნას, რომ შევენთ ჩამოსულიყვენ ნინო, ქეთუკან და თეთი თამარი, თამარს თავს ედგა ძღვეის გვიჭვინი და ქეთუკანს წმიდა მოწმობას, ნინოს სელთ ეუმარ ჟეაბი ვახსის, ნინამი დიდს ქრს იანოპას“.

მაგრამ ამავე დროს ხელს ოჯახის კერა დაშლენ და იქ, იქ მიზმანდილთა, გვიქადაცებენ. უფროცერესა გავივით, დაიდგამდა თამარი ძღვეის გვიჭვინს, რომ კურას არ მოცილებოდა? ან წმიდა მოწმობის ქეთუვანი, რომ ქერ ქვეშ გეტარებინა სიცოცხლე? რა იქნებოდა წმიდა ნინოსთვის ვეგარი ვახსისა, თუ ამ ჯვრით ხელში მას არ მოვეყოლა საქართველო და ქრისტიანობა არ მოვევინა აქ? რით არიან მისამადენი ძველი ქართველი დედები, თუ არ მით, რომ იმ დროს გაუსწვეტელ ბრძოლაში მყოფი ქართველი მამაკაცის შავიერობას ქალი ეწერდა ოჯახში, რომ მათი უფლებები მათი დროისთვის უფრო ფართონი იყვენ, ვინმე ჩვენი დროის დროისთვის? ჩვენ რასაკვირველია იდეალურათ არ ეუფურებთ ჩვენი ძველი დედების მდგომარეობას, არ გვეკრა ზღაპრები, რომლებსაც სწორათ მოვეითხრობენ ჩვენი ისტორიკოსნი და არა ისტორიკოსნი ჩვენ ძველ დედებზე, ვითომც ეს დედები სრულნი იყენ ყოველი მხრით, ვითომც იგინი წარმადიდებდენ თანამედროვე ქალბნისათვის ერთათ ერთ იდეალს ჩვენი იდეალი მომავალშია და არა წარსულში, 1) ჩვენ მხოლოთ გვაკვირებებს გონებრივი სიბრძნე იმ მოძღვრებთა, რომელთაც ჰქონიათ, რომ თუ ძველთ ქართველი ქალი ქალობდა, ნამდვილი დედა იყო და დროის შესავეერ შეიღლებს უზრდიდა მამულს, ეს ერთი შედეგი იყო ქვესებრივი განსხვავებისა და არა ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა.

ქრისტიანობის გავრცელებას თან მოჰქვა ძველი

1) განვიადგომუღმა და გადაჭარბებულმა ქება დიდმა ამ ჩვენი ძველი დედების ისეთი ბრძნობე გი გაიტყჩ ჩვენში, რომელთაცან ეს მოსალოდნელი არ იყო. მეტავის დიდათ საუკრადდებო წერილებში ბ. მამაშვილი ამბობს: „ძველებური დედა-ქალი არ იყო და არც შესას“.

ცხოვრების წერევა; დროს განმეოლობაში ამ ნანგრევზე აშენდა ბატონ-ყმობა. მოინა ბატონ-ყმობის უღელში ამოჰყო თავი. მისი მღვდამარეობა შედარებით წინანდელზე ცოტა მაინც გაუმჯობესდა. მას ახლა მუდმივი ბინა მაინც აქვს; ვითარცა საკუთრებუც, სახლ-კარიც, ცოტა რამ უფლებით შემუშოა ისარგებლოს. ერთი სიტყვით ყმა მოინა არ ახარ, თუმც მას სრულ აღმინათ აზიონ თელის. ასეთივეა ქალის მღვდამარეობაც, როგორც ყმა თვის სახლ-კართს, თვის ქონებით ბატონის უფლებების ქვეშ იმყოფება, ისე ქალიც თვისი საკუთრებით ქმრის ზედამხედველობაშია. როგორც გლეხია მიყვრებული მიწაზე და კახეზე, ისე ქალი ოჯახზე და ღვინა-საფარცხეზე. ვერც ყმას, თუმც იგი მამალია, ტანიც დიდი, ღონით ძლიერი, და ვერც ქალს ვერ უჩენია თავი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ნაირია საქმის მღვდამარეობა, სანამ

ცხოვრებაში არ გამოდის ბურჟუაზია, ბატონისა და გილის ფულის ბატონი იქნება; სოფელი თანდათან ჰკარავს უმთავრეს მნიშვნელობას, ძლიერდება ქალაქი და მატულობს მისი მნიშვნელობა, ფეოდალურ ოჯახს ძირი ეთხრება; ხალხი ქალაქს ეძაღვება, მამაკაცთან ერთად ქალიც იძულებულია თვისი ძალია ბაზარზე გამოიტანოს, ვაჭაროს იგი და ისე იზოგოს დღეშია პური. მუშა ჯერ, კაცისა და ქალის გამოჩენულათ, როგორც აწარს ჩვეულება ჩაგრულია, ემორჩილება თვის ხეიდრს და ბედს; მას ჯერ არ ესმის მიზეზი თვისი უბედურებისა; ვერ მოუწაავს საშუალება თვის ხსენსა; არ ვაფართოებულა მისი გონების პორიზონტი; არ იცის, რამ მისთანა სხვაც ბენ-

ღარ უსსო მეტსონრგი ვოფიდიეო მკვლევური ოჯახისა, ისეთი მეტსონრგი, რომელიც მსოფლით იმისთვის არის გამოსადეგი, რომ განუფიქრებელ, სმა ამოუღებელი და უდრეკინებელი შესწრულის მოკლეივე ნება სურვილი თვისი განინიერე ქმრისა. ამ დროს ოჯახს გაკმობი იყო ორი უფლებით თანაბარ და თანასწორ და თანასწორათუე მსნე მშრომელს ადაბანისა“. (ივერია* 189) წ. აგენი ჭაღები და ასალი დრო*).

რათ ჩავთვალთ; მია უმეტეს, რომ წინააღმდეგს ხედავთ, როგორც აბუყას, ისე თვით ვასტანის განსნებში. ამასთანავე მუჭს გაწეშა, რომ ჭაღს საზოგადოთ არს ჰქონდა უფლებს არც გაუღვისა, არც ჩუქებისა, არც ახდრისისა, არც რამეი წყნდლობითა ვაღდებულობის მიცემისა და ქმრის დაცობის დროს არც ვაღის აღას შეკადრ ქმრის და დეკოთსათ. ვასტანის ჰხრათ ჭაღს არ შეუძლო ეგლესიასათუე შეუყირის ის უმტკი ქონებაეკი, რომელიც მას თვისი მზითვის ფულით ჰქონდა შენიძენი. თუმცა იმ შემთხვევაშიც ვასტანს აბუყა ეწინააღმდეგება. ვასტანის განსნებშივე გვითხვლიათ, რომ ჭაღს ფიც ქვემ არს ეკითხვის რა, თუ სსოვან არ გვალადატობს ვგონებ ისიც ეკი, რომ ჭაღი მოქმეთ არ მიადეუას. დანუბრდანიერთ ეს მუსსლები ჩაგენი ძეკელი განსმდებულობის ბ. მათშვილის აზრს და დეკუთისსმეთით, რომ ეს აზრი შეაკვდა ილაღინდისისა, რომ ცოლისა და ქმრის სრულ თანაბრობაზე სსეა და სსეა უფლები ის მსრით დაზარევი შეუძლებლია. ჩვენ ამით არს ეკუსრს დავამცირათ დინსუა ბ. მათშვილის დიდით სსეურადეუბო და საზოგადოთ შინაზრსიანი წერადისა. ჩვენ მსოფლიოთ ის ვგინდრად გვეჩვენებათ, თუ რა იშეთია მსოფლიოთ ისეთი მწერალი, რომელიც ტრადიციული მსკლულებით არ ასაზრდოებს თვის გონებას ცოტათ მანდ.


უკეთუ ჭაღს ჰმარშვილა და:ესობება, მამინ მთელი უსრავი ქონაშ მსოფლით ბატონის ხელში გადადის. ჭაღს უსრავილას მარტო თვისი მზითვიც, სოფლი დარწმინდ უმტკი ქონებიდან ბატონი იძლეეს მცირეოღვის საზარსთ, რადეან იგი ვაღდებულისა დამარსოს უქანსენელი მიცვალებულიც იმ ოჯახისა, რომლის უმტკი ქონებაც მან მიიღო, ნაივდობით შექნილია ქონებაც ეკი ამ შემთხვევაში ბატონის ხელში გადადის ვარსა, თუ ჭაღს ქმრის შემდგ დარსა შვილი, მამინ (ურბავი ქონებაც ამ უქანსენელს ვენსება). ეკი ამვს აქვს უფლებს უსრავი ქონებას ჩამოართვას, იგი შვილის ვეთვნილებას შეადგენს. სოფლი თუ შვილის არ გაუწყეს ბატონობას და შვირეთ იქონწინებს, მამინ არავითარ უფლებს აღარ აქვს რიბი მიიღოს ქმრის ოჯახიდან გრდა თვისი მზითვისა. (Собрания законов Царя Вахтанга VI г.г. 231.) უკეთუ მამაკაცს საივედელს შემდგ დარსა მსოფლიოთ გთხოვილი ჭაღი, ეს უქანსენელი დებულობს მსოფლიოთ ჩანადრემქვეს, სოფლი განათობარს და დარბო ჭაღს ეკი ელდეკი მოარავი ქონების ნსეკარი, უსრავი ქონება ეკი ჩვენში დედით სქესზე არ გადადის. (ibid გ. 257) ამ მუსდის სსეარბიმი ვკითხვლიათ: ვასტანეი გვარწმინებს, რომ სსეარბილემო მსთთავთ უმტკი ქონებას აღევეწო, მაგრამ ეს უფლებას ამ შვილებს ასოლაეურე-

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აქ სსეესრავ ვასსეკავებს, ეს მნიშვნელობა მსში გამოისაგა, რომ ჭაღი, გრდა იმისა, რომ მუშა მამაკაციით მანწინის ნსევილით იქნე, იძულებული შეიწარ თვისი ზნეობრავი მსარეე სსეარბილემო ქმრის და მშრომცი ვრდისთვისი ივეოთსეული. იგი დროებით იქნე სსეარბილეთ, ესე ივეოთსეული. მიერ გატეკობრათ; ეკონობიურ გატეკობრათ ეკი არის გამოსატულებს სასოკადოურბივი დამოებდებულებისა, ასე რომ ჭაღის ისეთი მღვდამარეობაც ეკი, რომელიც ერთი მსეკვით მის სსეესრავ ვასსეკავებსზე უნდა იქონ დამოებდებული, ჩანადვლით შეადგება მამი ეკონობიურ და მსითნ ერთთ საზოგადოებრავი აზარობისა.

რია ქვეყანაზე; ვერ შეუგნია ცხადთ ვინ არის მისი ნამდვილი მტერი, ვინ მოყვარე. ამით, რა თქმა უნდა, თვისებური ხერხ-თ საზრგებლობს ბურჟუაზია. მუდამ მოძრაი, მუდამ უქმყოფილო, იგი შეუჩერებლათ მისდევს უკნ ახალ ცხოვრებას; წარმოება წარმოადგენელი სისწრაფით ვითარდება; ბაზარი ფართოვდება; მუშათა ჯარი თანდათან მრავლდება და მიგრირება ქალაქისაკენ ქარხნებში. ქარხანაში მანქანამ კი არ იცის სქესებრივი განსხვავება არც პსიხოლოგიური, არც ფიზიოლოგიური. მისი კარები გაღებულია მისთვის, ვინც უფრო გაკირებულა, ვინცა თვისი მარჯვენის მეტი არა აბადია რა. ის არ დგადღესთ თუ ვინ არის ეს გაკირებული, მაშალი თუ დედალი, ქალი, კაცი თუ ბავში. როგორ მოქმედობს აქ ქალი? როგორც დედალი თუ როგორც მამალი? ამაზე ბ. ვაჰკიძე მოგვცემთ პასუხს. ჩვენ კი იმას მოგვხსენებთ, რომ დღეს ქალი იბრძვის ჯერ ეკონომიური ღმრეც სხვა უფლებებისათვის. როგორც შრომაში თანაბარი მამა-კაცისა, იგი შრომის ნყოფისაც თანაბარს თხოულობს, უფლებებსაც ამის შესაფერს, იგი ისეთივე შეგნებული მეპროლია, როგორც მისი თანაშრომელი მუშა მამა-კაცი, დედა-კაცი დღეს ადამიანურ ცხოვრებას თხოულობს. შეუძლებელია ეს სურვილი დამყოფილ დღეს, თუ ძირაანთ არ შეიცვალა თანამედროვე ცხოვრება.

ოღ—და.

(შემდეგი იქნება)



ზოგი რამ ქუთაისისა.

ესეც შენი ქუთაისი!—ლიბილით მ.თბრა ერთმა ჩემმა ნაცრობმა, როდესაც რკინის გზის მატარებელი ქუთაისის სადგურს მიუახლოვდა. გულმა სიხარულით გაითჟანქალა... საოცარია ადამიანი! რა გინდ გულ გრილი იყოს, თუ მოშორებულა სამშობლო ქვეყანას, მიუახლოვდება თუ არა, რაღაც არა ჩვეულებრივს იგრძნობს. ჰგონა ვადკელილ-ვადასხვაფერებული ამაზედგება ყველაფერი, სხვა და სხვა საკირიელი დამეტი იქნება მომხდარი და სხვა და სხვა. ეს, რასაკირიელია, ადამიანი? ფანტაზიის ნაყოფა, მაგრამ ზოგჯერ მართლდება კიდევ ეს ფანტაზია. აი, თუნდა მე! ვეშორდა თუ არა თულისს, სულ იმას ვეტირბობდი—მივიღივარ ქუთაისში და ვინ იცის რამდენ ახალ რასმე არ ენახე და არ გავგონებ! ან არა და, იქნება რამდენსამე სადღურს გაცილდე და ისე თულისსნი ამოყუთ თუი ჩემი ჩემადნიანთ მეტიქი! „რატომაო“ იკითხავთ, იმიტომ, ჩემო მკითხველო, რომ ჩემი წასელის ორი დღით წინ ერთმა

„ოფიციალურმა“ ორგანომ „ოფიციალურათ“ გამოაცხადა, რომ მთელი დასავლეთი საქართველო ხაშურიდან დაწყებული ბათოამდე თოვლით არი დაფარულიო. ეს თოვლი იმისიანლია, რომ რამდენისამე მეტრით აღმებტება ვიფელის სახელ-განთქმულ კოშკისაო. შავი ზღვა ხელშეკრულობას სტებს მიუხედავად ჩხერემელისათან: „ხელი ხელს მიეცეთ, გული გულს და ერთათ ეიმოქმედოთ“. მოდი და ნუ შეგვიმინდება, როდესაც ასეთ ამავეს კითხულობ „ოფიციალურ“ ორგანოში...

გზა და გზა თეაღებს ვაცეცებდი, სად არის ის უშველღელით თოვლის გორები, რომელიც მთელ ქვეყანას წაღვეკვს უპირებს მეტი, მარა აქა-იქ თუ სადმე დინახავდით სფისეციისოდენათ დატყვნილ თოვლს, თეარა მთელი გზა თოლისიდან ქუთაისამდე მშრალი იყო, ქუთაისს ხომ ნულარ იკითხავთ: ყოველ ქუჩაზე მტვერი ადიოდა. ვახარებული წავედი ბინისაკენ და ჩემ საქმეს შევედექი. მეორე დღეს ენახე ვინც მესაქირებოდა, გაეკეთე ყველაფერი და წინის მაღაზიაში შევიარე, რომ ვახვითი ვადამე-თელიერებია. ვადავალე თუ არა ვახვითი, მაშინვე მომგონდა ის უცნაური ამავე, რომელიც წინა დღებში ეწერა ვახვითში, და გაეკირებებთ ვუამე ერთ ჩემ ნაცრობს. გე მართალიაო, —დაცნით ვითბრა მან—სწორად დიდი თოვლი მოვიდა, წვიმამაც ძალიან შეგავწუხა, მარა ეს „მას ყამსა შინა“ იყო, ხოლო „მას ყამსა შინა“ მისული კორესპონდენცია, ეტყობა, დროზე არ დაუბეჭდა იმ თქვენ „ოფიციალურ ორგანოსა.“ უთოთ, „ოჩერედს“ უცდილაო—დაუმატა ერთმა იქ მდგომთავანამ და შექქნეს საერთო სიცილ ხარხარი.

—კაია, შენ ნუ მუუტეებთ ჩემ თავს, იანვარში მომხდარი ამავე, რომ მუშა კვირიკობის თვეში დაბეჭდონ! ავი და, ქე ვინ დუუჯერებს, აბდლის მეტი! თუ თოვლის მოსლას ატყობებდენ ქვეყანას, ქე დიბეტქვენ მაშინ, როცხა თოელი იყო, თეარა, ყოველისფერი ნუ მოგეტება, რა გამოდარდა მერე რა მოხელე ნაწალიც იყო?—სხაბა-სხუბით თქვა ერთმა კოპაზა გურულმა და რაღაც წასწორიულა იქვე მდგომ ყავის ფერ პალტიანს კაცს.

უნდა გამოტყვე, ძალიან მესიამოვნა ეს გონიერული ახსნა, მინდოდა გამოვლავარაკებოდი უცნობ კაცს და კარგათ გამეგო იმისი აზრი ჩემნი ქურნალ ვახვითების შესახებ, მარა უცბათ შემოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი და სალამიც არაგისთვის მიუცია ისე მსწრაფლათ მიახეჩა გურულს რაღაცა ხელში.

—ავი რაღა ბაღისიანი?—გაკვირებთი წამოიძახა ემწეილმა კაცმა და კარგათ დაეკვირდა.

—რაა და თეატრის ბილეთი! ხეილ მესხიციის



ბენეფისია და და ვაი შენ ტყავს, რომ არ მოხვდეს, ჩქარა წარმოადგინე ფული, რას ათვალერებ!

— ბატონო, მე ხვალ საღამოს ოზურგეთში უნდა ვიქნე და ბილეთი რეზიზ ვიყიდა? ავი მათეს გასალე-ბიე ჰა, მათე, შენ მაინც კომერსანტი კაცი ხარ და გუფხადე, ორ და სამ მანათს აფერათ მვისკალისებ— უთხრა ყმაწვილმა ქალარა შერეულ კაცს და გაუწო-და ბილეთი.

— შენ არ მოუტყვევ ჩემ თავს, მაგი ზღილობა არ იყოს! მათე უშენთანაც კე იყიდის ერთ ბილეთს — წამოიძახა გაწიწმბებულმა ქალმა და მეორე ბი-ლეთი მათეს გაუშვირა.

— მე ხვალ დიდი საქმე მაქვს და...

— არაფერი საქმე არ ვიცი მე, ეს ბილეთი კი იყიდე და რაც გერჩიოს ის ისაქმე. შენ, ერთი კი არა, ათი ბილეთიც რომ იყიდა, ღმერთი არ გიწ-წყენს.

— მაინც, ღმერთმანი! მთელი ზემოთი ხელში ჩვივდე, რკინის ზოდების აშენებას აპირებ, რკინის კოშკებს პირდები ყველას და კიდე „სტუპობდა“

— აჰა, აჰა, რა „სტუპ“ ქნა მაგ წყეულმა! — სიცილით თქვა გულრეულმა და ეშმაკურათ ვადახედა მათეს, რომელიც ერთი სხვაინათის შეცმაცურდა, თვალები გველსავით გაასრიალ-გამოასრიალა და ისე გულთანად ვადიკისკისა, რომ მისი ახოვნების მოკ-ლებული ტანი რეზინის ბურთითით აჰყვა ამ სიცილს.

— მოგეცათ სიცილსებ! — ამჟავთ წამოიწყოა მა-თმე და თანაც ხმის ამოსაწმენდათ ჩახხეღა, — ცაცო, არც ადელი მინახავს, არც ზომა ვიცი, არც ერთი და არც მეორე, რას დავებებ რკინის მადანს თუ ოქროსი, ეს ექვსანი თუმანი კი ჩავიჯიბე და ხა-ხა-ხა ხა-ხა, ახლა ისეც უქნიათ თავი უმტერევიათ ერთ-მანეთზე პატრონებსაც და სხვებსაც, რა სულელები შეხებდენ! ხა-ხა-ხა-ხა-ხა შენ ხარ ჩენი მხსნელი და ჩენი პატრონიო, და მეც, რასაკერძეელია, სიტყვით მილოიანები ვაშოვენი ყველას!.. ახლაც მეძებენ, ყვი-რიან, მათე, მათეო, მარა მათეს ჯერ კიდევ ერთ ხანს ეყოდა სახარჯო გროშები და მერე მე ვიცი!... ერთს ხეგებურათ გაცკრამ-გამოცკრამ და მთელ ზემოთს ან-გელთხათ მოვაჩვენებ თავს. მაშ, ასე უნდა ბიჭი! — მელიდურათ თქვა მათემ და თანაც ხელი მიიღო გულზე.

— მა ენახე ბრჭყალი კი არ მოგედება, თუ დარი დავიღვა! — ერთხმათ უთხრეს იქვე მდგომებმა მათეს. მე, როგორც უცნობი, მეტი ვიყავი ამ კრე-ბულში და ამიტომ მოშორება ვარჩიე; ახალგაზდა ქალი კი თავის ბილეთებთანად იღვა და გულ და გულ ხარხარება სხვების სიცილზე.

კოტა რომ გაივარე, ერთი ნაცნობი შეხმედა

და ბულვარზე გასვირნება მიჩჩია. მეც წავიდეთ. თუ-მცა შხაბით დღე იყო და მასთან საქმით ცივი ქა-რიც ჰქროდა, მარა ასე გეგანგებოდათ კერაოა. ური-ცხვი „ადამა კავალრები“ ისე არხენათ დასვირნობ-დენ, თითქო შაისის შევიწერი დღე ყოფილიყოს. ყველაზე უფრო სამმა ადამიანმა მიიპყრო ჩემი ყუ-რადლება. ესენი, მართალია, უცნობები არ იყვენ ჩემი, მარა გამაოცო იმან, რომ გერევითარი ცელი-ლებმა მათში ვერ შევიწინებ. რაც იყვენ ამ თხუთმე-ტი წლის წინეთ, იგიე არიან დღეს, და როდესაც ეს სიტყვითაც აღვიარე ჩემ ნაცნობთან, მან მითხრა: „რა მოახუცებს, მაკათ, გათენდება თუ არა, სამივე დანიშნულ ალაგას მიიჩქარის. ჯერ ერთი მოვა და დაჯდება ხაზინის პირდაპირ სკამეიკავზე, მერე მეორე და მერე მესამე, ეს მუდმივი წვერები ბულვარისა მოვალენი არიან ერთმანეთს ყოველ დღესა „დოკ-ლადი“ გაუტეოთა, მომართონ თავისი უმეფელო ტელეგრაფი და გააბან ზარი. ამიტომაც, რავიარი ამინდიც უნდა იყოს, ვერც ერთი მათგანი ვერ და-კლდება ბულვარს, ყველთეს ნახეთ სამ „ოტსტა-ენიო ინვალიდს, გაცხარებთ მოზაასეს, რამეღთა თვალსა და ყურს არაფერი არ გამოვპარება.“ კარგ ხანს ვიჯინეთ ამ „ინვალიდებზე“ და ბოლოს ისეც და-ეუბრუნდით „საზოგადო“ მასლაათს. ვილაპარაკეთ ზოლაზე, დრეიფუსზე, ახელიდიანზე, ჯოხაძეზე და, სხვთა შორის, გულის ტკივილთ აღენიშნეთ ქვეყნის ქორიკანობა. ამ დროს ჩემმა მომასლაათემ ვილაყას თავი დაუქრა.

— ეს ვინ არის, როგორღაც მეცნაურება მეთქი, გვითხე მე.

— ვერ იცანი? თავი ტიმოთე ყოყაინიძე.

— ეს ის! რას ამბობ, აი იქ.. დიდი ვინმე რომ იყო?

— დიახ! ნამდვილათ მოსკოველ ვეპარს არ ჰქავს ამ სტაციურ ტანისამოსში!

— რისთვის გაიხდა მუნდირი?

— კი არ ვახხადა, — გახაღეს. ნამეტანი ქნა, ნა-მეტანი და, ხომ მოგხსენება, ვისაც ჩამეგვა შეუძ-ლია, იმას ვახდის ნებაცა აქვს. ისე ვადიდგულდა, რომ „ხეთის წყალობას“ აღარავისგან კადრულობ-და, საწყალი გლეზი რომ თავის გაქირეებას შეჩი-ლებდა, ეს მათხანს გადუქირება ზურგზე. თავს გაუვიდა, და ეს კი ევლარ მიართვის. შეუტყვეს რა შეილიც ბრძანდება და ახა ახლა იფუფუროს, თუ ბიჭია! იაროს ტროსტით ამ ბულვარში და აბრია-ლოს თეალები!

— ევ კიდევ არაფერი, — განაგრძო მანვე — მა-გისტანებზე მთავრობას მაინც ვაუღის რამე! სავირ-ველი ის აზრის, რომ ზოგიერთი არა მკითხე მოხველ

ჯერის დაწერას აპირებს ქუთაისზე. ვიაც ერთხელ უფგნდა ქუთაისელთა გულ უხეობა, არას გზით აღარ შორდნება.

— როგორ თუ ჯერის დაწერას? ვერ გავიგე!

— როგორ და ისე, რომ თუნდაც სხვაგან დი-
რსეული ადგილი ჰქონდეთ, მაინც აქეთვე მოაწე-
ვენ. აი ახლაც მთელი ხალხი ლაპარაკობს, რომ ერ-
თი „მოლოდენე“, რომელიც ამ რამდენისამე წლის
წინათ ქუთაისის სენებელ ბურთიანი ათამაშებდა,
კიდევ მოსულა და ცდილობს, რომ ქალაქის თავთა
იქნეს არჩეულიო... „ახლანდელი ქალაქის თავი ჩემ-
თან რა შესადარებელია, სად ის და სად მე!... თუ
ახლა იმის უთავო-თავობით მართა მოსწავლელ ბავ-
შები იკინებინ სიციეთ ქალაქის სადგომში,
„სად წავა თოვლი; ცდი მოკლეწილია,
მის ჭკრატკეს ან ასდგომანს,
სად შეუფუას საშუაის სხმასთან
თავის თბილ თათხს ან გასდგომანს“;

მანინ მთელ ქუჩებს ისე გავებდა, რომ აედრის
დროს ნაეგობთ დაკურადდეს ხალხი, ხოლო დარში
მტურით იხრებოდნენ. ხომ ვახსოვთ ჩემი „საქმენი
სამგირანი!“ მე ისეც ისა ვარ რაც ვიკავი და იგვე
იკინები ჩემი ჯიბის საკეთილდღეობთა.“

„ნურას უკაცრავთა!“ — ამბობს თორმე ახლა-
ნდელი ქალაქის თავი, — „მე ვეცდები, რომ ტანის
სხვა ნაწილები საღათ და პირ ნათლათ წარადგინო
ადღესა მას განკითხვისასა“ ქვეყნის წინაშე და რაკ
ეს ასე მოხდება, ჩემი ტანი სხვის თავს არ მოიბამო.
სიზარმაცეს დაწვეულ ტანს საუცხოვრთ შევთვისა
ჩემი თავი, და ამ განცხრომას ნურაინი ნუ შეგვიშ-
ლისო. თუ მაინც და მაინც არ დაიშლი, ისევე „ქველ
არმიას“ დაუბრუნდი, იქაც საქმე ორკუაფთ არის,
სათლელ დუმას ბლომთ იზოვი და თუ მიფუჩქება
დაჭირდეს რისავე, შენ დარდი ნუ გეკნება, წყვდა-
დით მოკული ქუჩები ყოველ საქმეში ხელს შეგვიწ-
ყობენო. მე კი ამ გვიპრიელ ლუქამში ნუ შემეკი-
ლები, რადგან ჩემი „სიკმაწიელი“ ქუთაისისთვის
ზრუნვას შეეწირე, ქალრა გამოგირთა ბეგრის ფიქრ-
თო და სხვა და სხვა.

მოდლ და ნუ შეაკეოვდება „უდროვრთ ვაკალა-
რავებულთ“ ქალაქის თავი! მე და ჩემმა დღეობთა,
ულმომბელია ხალხი, თეგრა სამღებროში უნდა ამ-
აელოს ასე „უდროვრთ ვაკალარავებულთ“ თავი.
ქუთათურებრ ჯელოაფერს ქალაქის თავისაგან თხოუ-
ლობენ: ქუჩების ვანაუბას, ვაკეთუბას, სკოლის გა-
უმჯობესებას, კონკის, მილით წყლის გამოყენას, სა-
ნოვავის თელოს დევენებას და სხვას. რავე შეძლ-
ება ყველა ეს მოთხოვო ერთ თავს! რამ შესაძლ-
ებელი იყოს „პროკატით“ თავის შოვნა, ისე რო-

გორც, ეთქვით, თეალი შეიძლება „პროკატით“ ჰქო-
ნდეს კაცს, ეს კიდევ კარგი, მაგრამ რომ არ შეი-
ძლება! — სიცილით დაათევა ჩემმა მომასლოათემ.

— განა არ შეიძლება, რომ ერთი თავი ჰქონ-
დეს კაცს, მაგრამ ათსა და ოკს ჯობდეს? ნუ თუ
ქუთაისში, სადაც ამდენი „ინტელიგენცია“ არის, არ
მოიძებნება ისეთი თავი, რომელსაც თავის-თავის გა-
რდა სხეულ ასოვდებო? ჯერ მე შემიძლია დავასაბრ-
თო რამდენიმე ახალგაზდა კაცო, რომელთაც მართ-
ლა შესტყვიათ გული ქალაქის მკვიდრთათვის, მაგ-
რამ თქვენი ბრალთა თუ რიგანი თავი ვერ გამოვი-
ძებნით, არა გექით ენერგოა, ერთმანეთის გატანა,
„შორს უღვინართ ხალხს, რომელიც უსთავგისი სა-
ფუძველია საერთო საქმისა, და, რამე პირველია,
„წამხდარსა საქმეს რას არგებს ბოლოს-და თითვე
კბენანი“.


— არა, ჩვენ რომ გვაშტურებ, თფილისელებმა
რა უფრო უნა გამოიჩინეთ? განა თქვენ კი ვაწყენ-
დათ, რომ ქალაქის სამბო ხეირანი ნიადგუე დაე-
ყენებოთ? — გაცხარებით მომიგო ახალგაზდა კაცმა
და კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ამ დროს
ვილაკამ შევარდენიეთ ჩავიჭერალა, „პარლონო“
ერთი მომამხადა და ჩემ მოსახებრს აეტუბა გვერდით.

— ყოვლის უარის უთქმელათ უნდა იქილო ერთ-
თი ბილეთის ხომ იცი, ხელს მესხიევის ბენეფისისა!
რა „დღეშკა“, რა „დღეშკა“... მხიარული სახით ამ-
ბობდა ახალგაზდა ქალი და თანაც ბილეთის იღებდა
მუფუთადან.

— რა დროს ბენეფისისა! სამავისო ფულები..
— არა, არ შეიძლება! უთულოთ უნდა იყიდო.
მე და უარს მითხოვან?! — გავკირებებით ამბობდა გა-
თამამებელი ქალი..

„პარლონ“ — მეთქი, ეუთხარი ჩემ გვერდით მდ-
გამით და დროზე ეუშველო თავს, რომ მეც „სამე-
ნეფისით“ არ დავჩრჩინოვავი ქუთაისში.

X.



ამ ნომერში ნახმარი საჭიროა უცხოა სიტ-
ყეების ახსნა

აქტი — მოქმედება; აქტიური — მოქმედი, მოქმედი; აბ-
სოლოუტური — თვით მოქმედება; იდეოლოგიკო —
გონებრივი, იდეოური; კონცესია — განსაკუთრებული ნება-
სთება; კატეგორია — რიცხი, განყოფილება; ლიკვიდაცია —
გაუქმება; ორგანიზმი — აგებულება; პროსტრუცია —
გარეწილობა; პრესსა — ჟურნალ-გაზეთობა; რეისტრაცი
— საღესის წინამომადგენელთა კრება; სარკაზმი — დატყუ-
ტერტიტორია — მსწადგობა; ტრაღიკო — გადმოცემა;
ფსიხოლოგია — მცნებრება სუფიერ მოკლეწილზე; ფი-
ზიკოლოგია — მცნებრება აგებულების ნაწილითა მუშაობაზე
და სიყვარულზე.

რედაკტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლის.